დამტკიცებულია:
სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს 2013 წლის 11 დეკემბრის
N92 დადგენილებით

საჯარო სამართლის იურიდიული პირის

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის საარჩევნო

დებულება

თავი 1

ზოგადი დებულებები

მუხლი 1. დებულების რეგულირების სფერო

1. ეს დებულება არეგულირებს სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში (შემდგომში - უნივერსიტეტი) არჩევნების ჩატარების წესს, საარჩევნო კომისიის უფლებამოსილებას და საქმიანობის წესს.

2. უნივერსიტეტში არჩევნები ტარდება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, უნივერსიტეტის წესდებით და ამ დებულებით დადგენილი წესით.

3. ამ დებულებით განსაზღვრულ დღეები მოიაზრება სამუშაო დღეები.

4. უნივერსიტეტში არჩევნები (მართვის ორგანოების - აკადემიური საბჭო, წარმომადგენლობითი საბჭო, რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, ფაკულტეტის მართვის ორგანოების - ფაკულტეტის საბჭო, ფაკულტეტის დეკანი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის არჩევნები) რეგულირდება უნივერსიტეტის წესდებით და ამ დებულებით.

5. არჩევნების მიზნით იქმნება უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია. კომისიის წევრთა რაოდენობა არის კენტი.

თავი II

საარჩევნო კომისიები

მუხლი 2. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია

1. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის წევრთა რაოდენობა და შემადგენლობა განისაზღვრება რექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, მასში შეიძლება შედიოდეს სტუდენტი. კომისიის წევრად შეიძლება მოწვეულ იქნეს საზოგადოების წარმომადგენელი. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს და მდივანს საარჩევნო კომისია ირჩევს პირველივე სხდომაზე.

2. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია უფლებამოსილია მიიღოს ყველა გადაწყვეტილება არჩევნების საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით და ეს გადაწყვეტილებები გააფორმოს შესაბამისი ოქმით.

3. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ხელმძღვანელობს კომისიის სხდომებს, ხელს აწერს კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს. იღებს უნივერსიტეტის კანცელარიის მიერ რეგისტრაციაში გატარებულ საარჩევნო კომისიის სახელზე შემოსულ კორესპონდენციას და ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.

4. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის მდივნად აირჩევა კომისიის ნებისმიერი წევრი კომისიის პირველივე სხდომაზე, ღია კენჭისყრით, დამსწრეთა უმრავლესობით. კომისიის მდივანი ადგენს კომისიის მუშაობის დღის წესრიგს, სხდომის ოქმებს, არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმებს.

5. ამოღებულია.

6. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია საჭიროების შემთხვევაში, უფლებამოსილია შექმნას ფაკულტეტის საარჩევნო კომისია, რომელიც უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებისა და ამ დებულების შესაბამისად უზრუნველყოფს არჩევნების ჩატარებას.

მუხლი 2^1. ინტერესთა შეუთავსებლობა

უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის საარჩევნო კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს მართვის ორგანოს წევრობის კანდიდატი ან/და არჩევნებში კანდიდატად მონაწილე პირი.

მუხლი 2^2. მართვის ორგანოებში ასარჩევ კანდიდატთა რეგისტრაციის წესი

1.მართვის ორგანოებში ასარჩევ კანდიდატთა რეგისტრაცია მიმდინარეობს ამ დებულებითა და არჩევნების გამოცხადების აქტით განსაზღვრულ ვადაში.

2. უნივერსიტეტის კანცელარიის საშუალებით განცხადების/დოკუმენტაციის წარდგენის შემდეგ, ასარჩევ კანდიდატთა რეგისტრაციას ახორციელებს საუნივერსიტეტო საარჩევნო კომისია.
3. კანდიდატის რეგისტრაციაზე უარის თქმის შემთხვევაში, საარჩევნო კომისია ვალდებულია, მიუთითოს, თუ რა ხარვეზს შეიცავს წარმოდგენილი დოკუმენტაცია. კანდიდატი უფლებამოსილია ხარვეზი შეავსოს 2 დღის განმავლობაში.
4. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია უფლებამოსილია კანდიდატის რეგისტრაციიდან 3 სამუშაო დღის ვადაში კანონმდებლობასთან შეუსაბამობის ან დოკუმენტაციაში აღმოჩენილი ხარვეზის შემთხვევაში მოხსნას დარეგისტრირებული კანდიდატი არჩევნებიდან.

5. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის უარი რეგისტრაციაზე კანდიდატის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს გადაწყვეტილების მიღებიდან 1 დღის განმავლობაში.
6. საჩივართან დაკავშირებულ გადაწყვეტილებას საარჩევნო კომისია იღებს 2 დღის ვადაში.

თავი III

უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევნები

მუხლი 3. წარმომადგენლობითი საბჭოს შემადგენლობა

1. უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა წარმომადგენლობითი საბჭო, რომელიც აირჩევა უნივერსიტეტის ფაკულტეტებიდან, წარმომადგენლობის საფუძველზე სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მიერ ცალ-ცალკე, ფაკულტეტებზე მათი რაოდენობის პროპორციულად.

2. წარმომადგენლობითი საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება აკადემიური საბჭოს შემადგენლობის არანაკლებ ორმაგი ოდენობით. სტუდენტები შეადგენენ წარმომადგენლობითი საბჭოს სრული შემადგენლობის ერთ მესამედს. ასისტენტი არჩევნებში მონაწილეობს, როგორც სტუდენტი. სტუდენტთა რაოდენობის დასადგენად დამრგვალება ხორციელდება სტუდენტთა სასარგებლოდ.

3. წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევა ხდება 4 წლის ვადით, საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი არჩევნების საფუძველზე ფარული კენჭისყრით.

4. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში წარმომადგენლობითი საბჭოს უფლებამოსილების დარჩენილი ვადით მისი წევრი ხდება კანდიდატი, რომელმაც შესაბამის არჩევნებში უფლებამოსილება შეწყვეტილი წევრის შემდეგ ხმების უმეტესი რაოდენობა მოაგროვა. ასეთის არარსებობის შემთხვევაში არჩევნები ტარდება შესაბამისი წარმომადგენლის ასარჩევად იმავე ვადით.

მუხლი 4. წარმომადგენლობით საბჭოში ასარჩევ კანდიდატთა რეგისტრაციის წესი და არჩევნების გამოცხადება

1. უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევნებს ნიშნავს უნივერსიტეტის რექტორი, რის თაობაზეც გამოსცემს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტს.

1[1]. რექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განისაზღვრება წარმომადგენლობით საბჭოში ასარჩევი აკადემიური პერსონალის და სტუდენტის რაოდენობა თითოეული ფაკულტეტიდან, არჩევნებში მონაწილე კანდიდატების რეგისტრაციის ვადა და არჩევნების ჩატარების დღე.

2. წარმომადგენლობით საბჭოს არჩევნებში დარეგისტრირებული კანდიდატებიდან სტუდენტებს ირჩევს შესაბამისი ფაკულტეტის ყველა სტუდენტი, გარდა სტატუს შეჩერებული სტუდენტებისა.

3. აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებს ირჩევს ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ამომრჩეველთა სიებში რეგისტრირებული ფაკულტეტის ყველა პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და ასისტენტ-პროფესორი.

4. წარმომადგენლობით საბჭოში ფაკულტეტის წარმომადგენლის ასარჩევ კანდიდატთა რეგისტრაციას ახორციელებს უნივერსიტეტის კანცელარია და გადასცემს განცხადებას უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიას.

5. წარმომადგენლობით საბჭოში ფაკულტეტებიდან წარმომადგენლობის კანდიდატთა რეგისტრაცია მიმდინარეობს არანაკლებ 7 დღის განმავლობაში.

6. რეგისტრაციის დამთავრებიდან არაუგვიანეს 5 დღის ვადაში იმართება წარმომადგენლობით საბჭოში ფაკულტეტებიდან წევრობის კანდიდატთა არჩევნები.

6[1]. არჩევნებში მონაწილე კანდიდატთაგან გამარჯვებულად ითვლებიან კანდიდატები, რომელთაც ხმების უმეტესი რაოდენობა მოაგროვეს.

7. საარჩევნო კომისია არჩევნების შედეგებს საჯაროდ აცხადებს არჩევნების ჩატარების დღეს.

მუხლი 5. წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერის არჩევნები

1. წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერს ფარული კენჭისყრით სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს წარმომადგენლობითი საბჭო მის შემადგენლობაში შემავალი აკადემიური პერსონალიდან 4 წლის ვადით.

2. წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერობის კანდიდატი/კანდიდატები აყენებენ თავს წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარის კანდიდატურაზე. არჩეულად ჩაითვლება პირი, რომელიც მიიღებს საბჭოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტ ხმას. იმ შემთხვევაში თუ პრეტენდენტი ორზე მეტია და ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ დააგროვა ხმების საჭირო რაოდენობა, იმავე დღეს უმეტესი ხმების მქონე ორ პრეტენდენტს შორის ტარდება განმეორებითი არჩევნები. თუ ამ შემთხვევაშიც ვერ გამოვლინდა გამარჯვებული, არაუგვიანეს 5 დღის განმავლობაში ინიშნება ახალი არჩევნების თარიღი. ახალი არჩევნები ტარდება იმავე წესით.

3. ერთი და იგივე პირი წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერად შეიძლება აირჩეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

თავი IV

აკადემიური საბჭოს არჩევნები

მუხლი 6. აკადემიური საბჭოს შემადგენლობა

1. უნივერსიტეტის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოა აკადემიური საბჭო. რომლის წევრებიც აირჩევიან ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ყველა წევრისა და ფაკულტეტის საბჭოს წევრ სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლის მიერ უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესით პირდაპირი, თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე ფარული კენჭისყრით.

2. აკადემიური საბჭო აირჩევა 4 წლის ვადით.

3. უნივერისტეტის აკადემიურ საბჭოში თითოეულ ფაკულტეტს ჰყავს არაუმეტეს 2 წარმომადგენელი.

4. აკადემიურ საბჭოს წევრად აირჩევა პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი. აკადემიურ საბჭოს წევრად პირი შიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

5. ამოღებულია.

6. ამოღებულია.

მუხლი 7. აკადემიური საბჭოში ფაკულტეტებიდან წევრობის კანდიდატთა რეგისტრაციის წესი და არჩევნების გამოცხადება

1. აკადემიური საბჭოს არჩევნებს ნიშნავს უნივერსიტეტის რექტორი, რის თაობაზეც გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

2. აკადემიურ საბჭოში ფაკულტეტებიდან წევრობის კანდიდატთა რეგისტრაცია მიმდინარეობს არანაკლებ 7 დღის განმავლობაში. აკადემიური საბჭოს წევრობის კანდიდატი რეგისტრაციას უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის სახელზე გადის უნივერსიტეტის კანცელარიაში.

3. რეგისტრაციის დამთავრებიდან არაუგვიანეს 5 დღის ვადაში იმართება აკადემიურ საბჭოში ფაკულტეტებიდან წევრობის კანდიდატთა არჩევნები.

მუხლი 8. აკადემიური საბჭოს არჩევნების ჩატარება და უფლებამოსილების ცნობა

1. აკადემიური საბჭოს არჩევნებში ხმის მიცემის უფლება აქვს ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ყველა წევრს და ფაკულტეტის საბჭოს წევრ სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლებს.

2. არჩევნების ჩატარების ფარულობას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია.

3. ხმის მიცემის პროცედურის ჩატარებას და შედეგების შეჯამებას ამ დებულების შესაბამისად უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია. კომისია არჩევნების შედეგებს საჯაროდ აცხადებს არჩევნების ჩატარების დღეს.

4. აკადემიური საბჭო, არჩევნების შედეგების გამოქვეყნების შემდეგ პირველივე სხდომაზე ცნობს თავის უფლებამოსილებას.

V თავი

რექტორის არჩევნები

მუხლი 9. რექტორის არჩევნების გამოცხადება

1. რექტორის არჩევნებს აცხადებს აკადემიური საბჭო. კანდიდატების რეგისტრაციის დაწყების შესახებ განცხადებას აკადემიური საბჭო აქვეყნებს კანდიდატების რეგისტრაციის დაწყებამდე არანაკლებ 1 თვით ადრე. გამჭვირვალობის, თანასწორობის და სამართლიანი კონკურენციის პრინციპის დაცვით. განცხადებაში აღინიშნება კანდიდატების რეგისტრაციის დაწყების თარიღი, კანდიდატთა განცხადებების მიღების ბოლო ვადა და რექტორის არჩევნების ჩატარების თარიღი. რექტორის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატების რეგისტრაციის დაწყების შესახებ განცხადება უნდა განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ. გვერდზე და რექტორობის კანდიდატების რეგისტრაციის შეწყვეტამდე განთავსდეს უნივერსიტეტში ყველაზე

თვალსაჩინო ადგილებზე მისი საჯაროობისა და დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით.

2. რეგისტრაცია გრძელდება არანაკლებ 2 და არაუმეტეს 3 კვირისა.

მუხლი 10. რექტორის კანდიდატის რეგისტრაციაში გატარება

1. რექტორობის კანდიდატები რეგისტრაციას უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის სახელზე გადის უნივერსიტეტის კანცელარიაში.

2. რეგისტრაციაში გატარების დროს კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ განსაზღვრული დოკუმენტაცია.

3. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის უარი კანდიდატის რეგისტრაციაში გატარებაზე დასაბუთებული უნდა იყოს წერილობითი ფორმით. რეგისტრაციაზე უარის შესახებ გადაწყვეტილებაში მიეთითება თუ რა ხარვეზს შეიცავს კანდიდატის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები. ხარვეზის გამოსწორება შესაძლებელია 2 დღის ვადაში.

მუხლი 11. რექტორის არჩევა

1. რექტორის არჩევნები ტარდება კანდიდატების რეგისტრაციის დასრულებიდან არა უგვიანეს 2 თვის ვადაში.

2. კანდიდატების რეგისტრაციის დასრულების შემდგომ უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის თამჯდომარე კანდიდატების მიერ წარმოდგენილ საკონკურსო დოკუმენტაციას გადასცემს აკადემიური საბჭოს მდივანს.

3.რექტორის არჩევნებამდე კანდიდატურის შერჩევისას აკადემიური საბჭო განიხილავს თითოეული კანდიდატის მიერ წარმოდგენილ სამოქმედო გეგმას და სხვა დოკუმენტაციას.

4. რექტორობის კანდიდატი შეიძლება იყოს პირი, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, მმართველ პოზიციაზე, სასწავლო და სამეცნიერო სფეროში მუშაობის გამოცდილება.

5. კანდიდატი აკადემიურ საბჭოს სამოქმედო გეგმას წარუდგენს საჯაროდ, რისთვისაც აკადემიური საბჭო ნიშნავს საჯაროდ განხილვის დღეს და აცნობებს კონკურსში მონაწილე კანდიდატებს წერილობითი ან ზეპირი ფორმით. ინფორმაცია საჯაროდ განხილვის შესახებ ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებ–გვერდზე.

6. რექტორს ირჩევს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, 4 წლის ვადით. თუ რექტორობის ვერცერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო ხმების ეს რაოდენობა, გაიმართება მეორე ტური, რომელშიც

მონაწილეობს პირველ ტურში საუკეთესო შედეგის მქონე ორი კანდიდატი. თუ არჩევნების მეორე ტურშიც ვერ გამოვლინდა გამარჯვებული, არა უგვიანეს ერთი თვის ვადაში ინიშნება ახალი არჩევნების თარიღი და ტარდება იმავე წესით.

7. რექტორის არჩევნების ჩატარებასა და კენჭისყრის ფარულობას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია.

8. ხმის მიცემის პროცედურის ჩატარებას და შედეგების შეჯამებას ამ დებულების შესაბამისად უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია. კომისია არჩევნების შედეგებს საჯაროდ აცხადებს არჩევნების ჩატარების დღეს.

9. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რექტორის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, აგრეთვე რექტორის ვერარჩევის შემთხვევაში აკადემიური საბჭო 14 დღის ვადაში, ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს რექტორის მოვალეობის შემსრულებელს არაუმეტეს 6 თვის ვადით. ერთი და იგივე პირი რექტორის მოვალეობის შემსრულებლად შეიძლება აირჩეს მხოლოდ ერთხელ.

თავი VI

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე დამტკიცება

მუხლი 12. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე დამტკიცება

1.ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარმომადგენლობითი საბჭო ამტკიცებს აკადემიური საბჭოს წარდგინებით ფარული კენჭისყრით, კანონმდებლობით დადგენილი წესით. ერთი და იგივე პირი აკადემიურმა საბჭომ წარმომადგენლობით საბჭოს შეიძლება წარუდგინოს მხოლოდ ორჯერ. წარმომადგენლობითი საბჭოს განმეორებითი უარის შემთხვევაში აკადემიური საბჭო წარადგენს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ახალ კანდიდატურას.

2. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის უფლებამოსილების ვადაა 4 წელი.

3. ერთი და იგივე პირი ადმინისტრაციის ხელმძღვანელად შეიძლება აირჩეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

4. პირი, რომელსაც ეკავა უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობა, ადმინისტრაციის ხელმძღვანელად შეიძლება არჩეულ იქნეს მხოლოდ მისი, როგორც რექტორის, უფლებამოსილების შეწყვეტიდან 4 წლის გასვლის შემდეგ.

VII თავი

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების ხელმძღვანელების არჩევა

მუხლი 13. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევნები

1.აკადემიური საბჭო აცხადებს კონკურს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის შესარჩევად.

2. განცხადება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის შესარჩევად კონკურსის გამოცხადების შესახებ უნდა შეიცავდეს იმ კრიტერიუმებსა და წარსადგენ დოკუმენტთა ნუსხას, რასაც უნდა აკმაყოფილებდეს კანდიდატი. კრიტერიუმებსა და წარსადგენ დოკუმენტთა ნუსხას ამტკიცებს აკადემიური საბჭო. კანდიდატთა რეგისტრაცია მიმდინარეობს არანაკლებ 7 დღის განმავლობაში.

3. განცხადებების მიღების ვადის დასრულებიდან 10 დღის ვადაში აკადემიური საბჭო ღია ან ფარული კენჭისყრით აირჩევს კანდიდატურას, რომელსაც დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს.

4. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის სახელზე კანდიდატი რეგისტრაციას გადის უნივერსიტეტის კანცელარიაში. გადაწყვეტილებაში რეგისტრაციაზე უარის შესახებ მიეთითება, თუ რა ხარვეზს შეიცავს კანდიდატის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები. ხარვეზის გამოსწორება შესაძლებელია ორი დღის ვადაში.

5. ხმის მიცემის პროცედურის ჩატარებას და შედეგების შეჯამებას ამ დებულების შესაბამისად უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია. კომისია არჩევნების შედეგებს საჯაროდ აცხადებს არჩევნების ჩატარების დღეს.

6. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის კანდიდატურის არარჩევის ან წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დაუმტკიცებლობის შემთხვევაში, აკადემიური საბჭო აცხადებს ხელახალ კონკურსს.

7. კანდიდატურის შესარჩევად განმეორებითი კონკურსის გამოცხადებისას გამოიყენება ამ თავით დადგენილი წესები.

8. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში ტარდება ამ მუხლით გათვალისწინებული პროცედურა.

9. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის უფლებამოსილების ვადაა 4 წელი.

10. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ზედიზედ არჩეული შეიძლება იქნეს მხოლოდ ორჯერ.

მუხლი 14. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის და სპეციალისტის არჩევა

1. დეკანი ფაკულტეტის საბჭოს წარუდგენს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსისა და სპეციალისტის კანდიდატურა(ებ)ს.

2. წარდგენილი კანდიდატურ(ებ)იდან ფაკულტეტის საბჭო ფარული კენჭისყრით ირჩევს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს და სპეციალისტს.

3.ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი და სპეციალისტი შეიძლება იყოს ფაკულტეტის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი და თანამდებობაზე შეიძლება აირჩეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ, 4 წლის ვადით.

4. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ანგარიშვალდებულია ფაკულტეტის საბჭოს წინაშე.

5. ხმის მიცემის პროცედურის ჩატარებას და შედეგების შეჯამებას ამ დებულების შესაბამისად უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია.

6. კომისია არჩევნების შედეგებს საჯაროდ აცხადებს არჩევნების ჩატარების დღეს.

მუხლი 15. ამოღებულია.

მუხლი 16. ამოღებულია.

VIII თავი

ფაკულტეტის საბჭოს არჩევის წესი

მუხლი 17. ფაკულტეტის საბჭოს არჩევა

1. ფაკულტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა ფაკულტეტის საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ყველა წარმომადგენელი და სტუდენტთა თვითმმართველობის არჩეული წარმომადგენლები.

1[1]. ფაკულტეტის საბჭოში სტუდენტთა ასარჩევად სტუდენტურ თვითმმართველობაში იმავე ფაკულტეტზე არჩეული წევრებიდან სტუდენტური თვითმმართველობა ირჩევს ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული რაოდენობის სტუდენტებს და წარუდგენს შესაბამის ფაკულტეტის საბჭოს.

2. ფაკულტეტის საბჭოში სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენელთა რაოდენობა განისაზღვრება ფაკულტეტის დებულებით, მაგრამ არ შეიძლება იყოს საბჭოს შემადგენლობის 1/4-ზე ნაკლები.

2[1]. ფაკულტეტის საბჭოს წევრ სტუდენტს სტუდენტური თვითმმართველობის წევრის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, უწყდება ფაკულტეტის საბჭოს წევრის უფლებამისილება. ასეთ შემთხვევაში სტუდენტური თვითმმართველობა ირჩევს და ფაკულტეტის საბჭოს წარუდგენს ახალი წარმომადგენელს.

3. ფაკულტეტის საბჭო პირველი შეკრებისთანავე ცნობს თავის უფლებამოსილებას. ფაკულტეტის საბჭო უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა უმრავლესობით.

IX თავი

ფაკულტეტის დეკანის არჩევის წესი

მუხლი 18. ფაკულტეტის დეკანის არჩევნების გამოცხადება

1. დეკანის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატების რეგისტრაციის დაწყების შესახებ განცხადებას აქვეყნებს ფაკულტეტის საბჭო კანდიდატების რეგისტრაციის დაწყებამდე არანაკლებ 1 თვით ადრე, საქართველოს კანონმდებლობითა, უნივერსიტეტის წესდებითა და ამ დებულებით დადგენილი წესით, გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დაცვით.

2. განცხადებაში აღინიშნება კანდიდატების რეგისტრაციის დაწყების თარიღი, კანდიდატთა განცხადებების მიღების ბოლო ვადა და დეკანის არჩევნების ჩატარების თარიღი.

3. განცხადება დეკანის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატების რეგისტრაციის დაწყების შესახებ უნდა განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და შესაბამის ფაკულტეტზე თვალსაჩინო ადგილას.

მუხლი 19. დეკანობის კანდიდატის რეგისტრაციაში გატარება

1. დეკანობის კანდიდატების რეგისტრაცია გრძელდება არანაკლებ 2 და არა უმეტეს 3 კვირისა.

2. ფაკულტეტის დეკანობის კანდიდატი რეგისტრაციას უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის სახელზე გადის უნივერსიტეტის კანცელარიაში, სადაც წარმოადგენს ფაკულტეტის საბჭოს მიერ განსაზღვრულ დოკუმენტაციას.

3. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის უარი კანდიდატის რეგისტრაციაში გატარებაზე დასაბუთებული უნდა იყოს წერილობითი ფორმით. რეგისტრაციაზე უარის შესახებ გადაწყვეტილებაში მიეთითება თუ რა ხარვეზს შეიცავს კანდიდატის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები. ხარვეზის გამოსწორება შესაძლებელია 2 დღის ვადაში.

მუხლი 20. დეკანის არჩევა

1. ფაკულტეტის დეკანის არჩევნები ტარდება კანდიდატების რეგისტრაციის დასრულებიდან არა უგვიანეს 1 თვის ვადაში.

2. დეკანი აირჩევა ფაკულტეტის საბჭოს მიერ ფარული კენჭისყრით სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

3 . დეკანის არჩევნებამდე კანდიდატურის შერჩევისას ფაკულტეტის საბჭო აფასებს თითოეული კანდიდატის მიერ წარმოდგენილ სამოქმედო გეგმას.

4. დეკანად შიძლება აირჩეს შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი

5. ფაკულტეტის საბჭო დეკანს ირჩევს ოთხი წლის ვადით.

6. თუ დეკანობის ვერცერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო ხმების სათანადო რაოდენობა, გაიმართება მეორე ტური, რომელშიც მონაწილეობს პირველ ტურში საუკეთესო შედეგის მქონე ორი კანდიდატი.

6[1]. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, აგრეთვე დეკანის ვერ არჩევის შემთხვევაში ფაკულტეტის საბჭო 14 დღის ვადაში, ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს დეკანის მოვალეობის შემსრულებელს არაუმეტეს 6 თვის ვადით. ერთი და იგივე პირი დეკანის მოვალეობის შემსრულებლად შეიძლება აირჩეს მხოლოდ ერთხელ.

7. დეკანის თანამდებობაზე ერთი და იგივე პირი შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

8. კენჭისყრის ფარულობას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია.

9.ხმის მიცემის პროცედურის ჩატარებას და შედეგების შეჯამებას ამ დებულების შესაბამისად უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია. კომისია არჩევნების შედეგებს საჯაროდ აცხადებს არჩევნების ჩატარების დღეს.

X თავი

ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის არჩევის წესი

მუხლი 21. ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის არჩევა

1.ბიბლიოთეკის ხელმძღვანელს ირჩევს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ფარული კენჭისყრით ხმათა უმრავლესობით.

2.წარმომადგენლობითი საბჭოს შემადგენლობაში შედის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი.

3.ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი უნდა იყოს უმაღლესი განათლების მქონე პირი, რომელსაც აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი და გააჩნია სათანადო კომპეტენცია ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის უფლებამოსილების განსახორციელებლად.

4. ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის კანდიდატისადმი დამატებითი კრიტერიუმებსა და წარსადგენ დოკუმენტაციის ნუსხას შეუმუშავებს და ამტკიცებს აკადემიური საბჭო.

5. არჩევნების ჩატარებას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია.

X I თავი

არჩევნების ორგანიზება და ჩატარების წესი

მუხლი 22. წინასაარჩევნო აგიტაცია და კამპანია

1. კანდიდატს უფლება აქვს ჩაატაროს წინასაარჩევნო კამპანია. წინასაარჩევნო კამპანიის წარმართვისას ყველა კანდიდატი სარგებლობს თანასწორი უფლებით.

2. კანდიდატებს, ფაკულტეტის ამომრჩევლებს უფლება აქვთ გასწიონ წინასაარჩევნო აგიტაცია კანდიდატის მხარდასაჭერად.

3. არჩევნების დღეს იკრძალება კამპანიისა და აგიტაციის წარმოება.

4. წინასაარჩევნო კამპანიასა და აგიტაციაში მონაწილეობის მიღების უფლება არ აქვთ:

ა) საარჩევნო კომისიის წევრებს;

ბ) ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალს.

5. წინასაარჩევნო კამპანია და აგიტაცია შესაძლებელია განხორციელდეს სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარებით (კრებები და შეხვედრები ამომრჩევლებთან, საჯარო დებატები და დისკუსიები), ბეჭდური სააგიტაციო მასალების გამოცემა-გავრცელებით, წინასაარჩევნო მოწოდებების, განცხადებების, ფურცლებისა და ფოტომასალის დამზადებისა და გავრცელების გზით, აგრეთვე კანონმდებლობით ნებადართული ნებისმიერი სხვა საშუალებით. აკრძალულია მათი გავრცელებისათვის ხელის შეშლა.

6. წინასაარჩევნო კამპანიამ და აგიტაციამ არ უნდა შეუშალოს ხელი უნივერსიტეტში სასწავლო პროცესს. იკრძალება მეცადინეობებზე სტუდენტებთან საარჩევნო კამპანიისა და აგიტაციის ჩატარება, აგრეთვე ნებისმიერი ისეთი ქმედება, რაც შეუფერებელია ასარჩევი კანდიდატის სტატუსთან (პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით მოსყიდვა, ან რაიმე სიკეთის ან პრივილეგიის მინიჭება, ან ასეთის დაპირება და სხვა), ხელყოფს წესრიგს დაწესებულებაში ან ზიანს აყენებს დაწესებულების ქონებას.

7. უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ პერსონალს უფლება არ აქვს დაუსაბუთებელი უარი უთხრას წინასაარჩევნო კამპანიისა და აგიტაციისათვის აუდიტორიებით, დარბაზებითა და უნივერსიტეტის სხვა ქონებით სარგებლობისათვის. ყველა კანდიდატისათვის უნივერსიტეტის ფართით სარგებლობა უნდა იყოს თანაბრად ხელმისაწვდომი.

8. ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული უარი არის წერილობითი ფორმის და მისი მიღებიდან ორი დღის ვადაში საჩივრდება უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიაში, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს 1 დღის ვადაში.

მუხლი 23. საარჩევნო სიები

1. საარჩევნო სიებს ადგენს უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტის დეკანი დაწესებულების იმ სტრუქტურულ ერთეულთან შეთანხმებით, რომელიც პასუხისმგებელია საკადრო საკითხების ორგანიზებაზე და სასწავლო პროცესის ადმინისტრირებაზე.

2. აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა საარჩევნო სიები დგება ცალ-ცალკე.

3. უნივერსიტეტის სტუდენტთა ამომრჩეველთა სიებში შეიტანება მოცემული ფაკულტეტის ყველა სტუდენტი, გარდა სტატუს შეჩერებული სტუდენტისა.

4. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი ირიცხება ერთდროულად უნივერსიტეტის ერთზე მეტ ფაკულტეტზე, ის შეიყვანება იმ ფაკულტეტის სიაში, სადაც სწავლობს ძირითად პროგრამაზე.

5. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის ამომრჩეველთა სიებში შეიტანება მოცემული ფაკულტეტის ყველა პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და ასისტენტ-პროფესორი.

6. იმ შემთხვევაში, თუ აკადემიური პერსონალის წევრი დასაქმებულია ერთზე მეტ ფაკულტეტზე, იგი შეიტანება იმ ფაკულტეტის საარჩევნო სიაში, რომელზეც უკავია მას აკადემიური თანამდებობა.

7. ფაკულტეტის საარჩევნო სიაში შეიტანება შემდეგი მონაცემები: ამომრჩევლის სახელი და გვარი, პირადი ნომერი და ხელმოწერა.

8. დაუშვებელია ერთსა და იმავე პირის მონაცემების რამდენიმე ფაკულტეტის საარჩევნო სიაში შეტანა.

მუხლი 24. საარჩევნო ბიულეტენი

1. ამომრჩევლის მიერ ხმის მიცემა ხორციელდება საარჩევნო ბიულეტენზე სათანადო აღნიშვნით და საარჩევნო ბიულეტენის საარჩევნო ყუთში მოთავსებით.

2. საარჩევნო ბიულეტენზე აღინიშნება:

ა) დაწესებულებისა და შესაბამისი ფაკულტეტის სახელწოდება;

ბ) აღნიშვნა იმის შესახებ, თუ რომელი მართვის ორგანოს არჩევნებისთვის არის განკუთვნილი;

გ) ასარჩევი კანდიდატების ჩამონათვალი.

3. დაუშვებელია პირზე ერთზე მეტი საარჩევნო ბიულეტენის გაცემა.

4. საარჩევნო ბიულეტენი გაიცემა პირზე პირადობის მოწმობის ან სტუდენტის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში, ხოლო აკადემიურ პერსონალზე – პირადობის მოწმობის წარდგენის საფუძველზე.

მუხლი 25. საარჩევნო ყუთი

1. დაწესებულება არჩევნების ჩასატარებლად უზრუნველყოფს საარჩევნო ყუთებით საარჩევნო კომისიის აღჭურვას. აკადემიური პერსონალისა და სტუდენტებისათვის ცალ-ცალკე.

2. საარჩევნო ყუთზე თვალსაჩინო ფორმით აღინიშნება, თუ რომელი მართვის ორგანოს არჩევნებისთვისაა იგი, აგრეთვე მინიშნება იმის შესახებ, აკადემიური პერსონალისთვისაა განკუთვნილი თუ სტუდენტთათვის.

3. საარჩევნო ყუთი კენჭისყრამდე მოწმდება, რათა საარჩევნო კომისიის წევრები და დამკვირვებლები დარწმუნდნენ, რომ იგი ცარიელია. კენჭისყრის დაწყებამდე

საარჩევნო ყუთი ილუქება კომისიის წევრებისა და დამკვირვებლების თანდასწრებით და პირველი ამომრჩევლის საარჩევნო ბიულეტენთან ერთად მასში მოთავსდება საკონტროლო ფურცელი, რაც არჩევნების შედეგების ნამდვილობის შემოწმების ერთ-ერთი საშუალებაა.

4. თუ საარჩევნო ყუთი დაზიანდა არჩევნების პროცესში, საარჩევნო კომისია უფლებამოსილია იმსჯელოს არჩევნების შედეგების ბათილად ცნობის შესახებ, თუ მიიჩნევს, რომ ამან შეიძლება გავლენა იქონიოს არჩევნების შედეგებზე.

მუხლი 26. არჩევნების ორგანიზება

1. არჩევნების ორგანიზებასა და ჩატარებასთან დაკავშირებულ ხარჯებს ფარავს უნივერსიტეტი.

2. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს საარჩევნო კომისიისათვის შესაბამისი ოთახის გამოყოფას.

მუხლი 27. არჩევნების პროცედურა

კენჭისყრის დღეს ფაკულტეტის ამომრჩეველი საარჩევნო კომისიის რეგისტრატორისგან იღებს შესაბამის საარჩევნო ბიულეტენს, რასაც ადასტურებს ამომრჩეველთა სიაში მისი გვარის გასწვრივ ხელმოწერით. შემდეგ ამომრჩეველი წრიულად შემოხაზავს მისთვის სასურველ 1 კანდიდატურას, აგდებს საარჩევნო ბიულეტენს საარჩევნო ყუთში და გადის საარჩევნო კომისიის ოთახიდან. დაუშვებელია ოთახში ხუთზე მეტი ამომრჩეველის ერთდროულად ყოფნა.

მუხლი 28. არჩევნების შედეგების შეჯამება

1. კენჭისყრის დასრულების შემდეგ საარჩევნო კომისიის წევრები ითვლიან საარჩევნო სიებში ხელმოწერების მიხედვით არჩევნებზე გამოცხადებულ ამომრჩეველთა რაოდენობას ცალ-ცალკე, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტებისათვის, რაც ფიქსირდება შესაბამის შემაჯამებელ ოქმში, რომელშიც აისახება არჩევნებში მონაწილე ყველა კანდიდატის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა.

2. არჩევნებზე გამოცხადებულ ამომრჩეველთა რაოდენობის დათვლის შემდეგ იხსნება საარჩევნო ყუთი და კომისიის წევრები ითვლიან საარჩევნო ბიულეტენებს. პირველად იხსნება და ითვლება აკადემიური პერსონალისათვის განკუთვნილი საარჩევნო ყუთი, ხოლო შემდეგ –სტუდენტებისათვის.

3. საარჩევნო ყუთიდან ამოღებული და წრიულად შემოხაზული საარჩევნო ბიულეტენები ლაგდება ცალ-ცალკე, არჩევნებში მონაწილე კანდიდატურების მიხედვით. ცალკე ლაგდება ბათილი საარჩევნო ბიულეტენები.

4. საარჩევნო ბიულეტენი ბათილია, თუ:

ა) თუ არ არის შემოხაზული არც ერთი კანდიდატურა;

ბ) თუ შემოხაზულია ერთზე მეტი კანდიდატურა;

გ) თუ შეუძლებელია გაირკვეს, რომელ კანდიდატს მისცა ხმა ამომრჩეველმა.

5. ხმების დათვლისთანავე ივსება შემაჯამებელი ოქმი ცალ-ცალკე, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთათვის, რომელშიც შეიტანება შემდეგი მონაცემები:

ა) ფაკულტეტის ამომრჩეველთა რაოდენობა სიების მიხედვით;

ბ) არჩევნებზე გამოცხადებულ ამომრჩეველთა რაოდენობა საარჩევნო სიებში ამომრჩეველთა ხელმოწერების მიხედვით;

გ) საარჩევნო ყუთში აღმოჩენილი საარჩევნო ბიულეტენების საერთო რაოდენობა;

დ) ბათილი საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა;

ე) თითოეული კანდიდატის მიერ მოპოვებული ხმების რაოდენობა;

ვ) კომისიის ყველა წევრის ხელმოწერა.

6. ფაკულტეტიდან წარმომადგენლობით საბჭოში არჩეულად ითვლება საუკეთესო შედეგების მქონე იმდენი აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა კანდიდატი, რამდენიც, შესაბამისად, დადგენილია უნივერსიტეტის წესდებით.

მუხლი 29. დამკვირვებელი

1. დაწესებულებაში არჩევნების პროცესზე დაკვირვების მიზნით ფიზიკური და იურიდიული პირები უფლებამოსილნი არიან არჩევნების დღემდე არა უგვიანეს 5 დღით ადრე მიმართონ უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიას დამკვირვებლის სტატუსის მოსაპოვებლად.

2. იურიდიული პირი არჩევნებში დამკვირვებლის სტატუსს განახორციელებს მისი წარმომადგენლების მეშვეობით, რომელთა ვინაობა მიეთითება დამკვირვებლის სტატუსის მოსაპოვებლად წარდგენილ განცხადებაში.

3. პირი არ დაიშვება დამკვირვებლად, თუ იგი არის:

ა) ამ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის ორგანოში ასარჩევი კანდიდატი;

ბ) ადმინისტრაციული ან დამხმარე პერსონალის წევრი;

გ) იმ ფაკულტეტის ამომრჩეველი, სადაც ითხოვს დამკვირვებლად მონაწილეობას.

4. დამკვირვებელი უფლებამოსილია დაესწროს საარჩევნო კომისიების მუშაობას არჩევნების დღეს და საჩივრების განხილვის პროცესში.

5. დამკვირვებელი უფლებამოსილია:

ა) დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში მიუთითოს კომისიის თავმჯდომარეს და მოითხოვოს დარღვევის აღკვეთა;

ბ) კომისიის თავმჯდომარის მიერ ამ პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში შეადგინოს დარღვევის ოქმი;

გ) წარადგინოს საჩივარი დაწესებულების საარჩევნო კომისიაში.

6. დამკვირვებელი ვალდებულია ხელი არ შეუშალოს არჩევნების ჩატარებას.

7. საარჩევნო კომისიები ვალდებულნი არიან ხელი არ შეუშალონ დამკვირვებელს.

მუხლი 30. დარღვევის ოქმი

არჩევნების დღეს ამ დადგენილი წესის დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში კანდიდატი, დამკვირვებელი, საარჩევნო კომისიის წევრი ან შესაბამისი ფაკულტეტის ამომრჩეველი უფლებამოსილია შეადგინოს დარღვევის ოქმი, რომელშიც მიეთითება:

ა) ოქმის შემდგენი პირის სახელი, გვარი, მისამართი.

ბ) ოქმის შემდგენი პირის სტატუსი (კანდიდატი, ამომრჩეველი, დამკვირვებელი, საარჩევნო კომისიის წევრი);

გ) დარღვევის შინაარსი;

დ) დარღვევის დაფიქსირების დრო;

ე) საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ხელმოწერა, ან აღნიშვნა მის მიერ ხელმოწერაზე უარის შესახებ;

ვ) მოწმეების ვინაობა (იმ შემთხვევაში, თუ არსებობენ მოწმეები, რომლებიც დაადასტურებენ ამ ფაქტობრივ გარემოებას) და მათი ხელმოწერები;

ზ) ოქმის შემდგენი პირის მოთხოვნა;

თ) ოქმის შემდგენი პირის ხელმოწერა.

მუხლი 31. არჩევნების შედეგების გამოცხადება

არჩევნების შედეგები ცხადდება არჩევნების დღეს. საარჩევნო კომისია ვალდებულია ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილას გამოაკრას არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმი.

XII თავი

არჩევნების პროცედურისა და შედეგების გასაჩივრების წესი

მუხლი 32. არჩევნების შედეგების გასაჩივრება

1. თუ ამ დებულებით სხვა რამ არ არის დადგენილი, არჩევნების შედეგების გამოცხადებიდან 24 საათის განმავლობაში კანდიდატს, დამკვირვებელს, საარჩევნო კომისიის წევრს ან შესაბამისი ფაკულტეტის ამომრჩეველს უფლება აქვს შეიტანოს საჩივარი ამ დებულებით განსაზღვრული წესის დარღვევასთან დაკავშირებით დაწესებულების საარჩევნო კომისიაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ საჩივრები არ მიიღება.

2. საჩივარი უნდა შეიცავდეს შემდეგ რეკვიზიტებს:

ა) საჩივრის შემტანი პირის სახელი, გვარი, მისამართი.

ბ) საჩივრის შემტანი პირის სტატუსი (კანდიდატი, ამომრჩეველი, დამკვირვებელი, ფაკულტეტის საარჩევნო კომისიის წევრი);

გ) დარღვევის შინაარსი

დ) მოწმეების ვინაობა (იმ შემთხვევაში, თუ არსებობენ მოწმეები, რომლებიც დაადასტურებენ ამ ფაქტობრივ გარემოებას);

ე) საჩივრის შემომტანი პირის მოთხოვნა;

ვ) საჩივრის შემომტანი პირის ხელმოწერა.

3. საჩივარს თან ერთვის დარღვევის ოქმის ასლი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

4. დაწესებულების საარჩევნო კომისია ვალდებულია საჩივრის შეტანიდან 3 დღის განმავლობაში განიხილოს საჩივრები და მიიღოს სათანადო გადაწყვეტილება.

5. არჩევნების ბათილად ცნობის შესახებ გადაწყვეტილებას დაწესებულების საარჩევნო კომისია იღებს იმ შემთხვევაში, თუ მიიჩნევს, რომ ამ დადგენილი წესის ან/და ფაკულტეტის საარჩევნო კომისიის მიერ საარჩევნო ბიულეტენების დათვლის პროცესში გამოვლენილმა დარღვევამ არსებითი გავლენა იქონია არჩევნების შედეგზე.

მუხლი 33. საბოლოო შედეგების გამოქვეყნება

1. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია არჩევნების საბოლოო შედეგებს აქვეყნებს ფაკულტეტებზე, ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილას.

2. არჩევნების საბოლოო შედეგები ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

XIII თავი

საარჩევნო კომისიის საქმიანობის ფორმები

მუხლი 34. საარჩევნო კომისიის აქტები

1. საარჩევნო კომისია უფლებამოსილია მიიღოს ყველა გადაწყვეტილება არჩევნების საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით, თუ უნივერსიტეტის წესდებით და ამ დებულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

2. საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება საარჩევნო კომისიის სხდომის ოქმის სახით. ოქმს ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.

მუხლი 35. დასკვნითი დებულებები

1. უნივერსიტეტის რექტორობის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელობის, სპიკერობის, ფაკულტეტის დეკანობის, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსობის, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელობისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტობის კანდიდატებს ამ დებულებით გათვალისწინებულ საარჩევნო ვადაში ჩაეთვლებათ ვადა, რომლის განმავლობაშიც მათ უნივერსიტეტში ეკავათ, შესაბამისად, რექტორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, სპიკერის, ფაკულტეტის დეკანობის, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტის თანამდებობა ზედიზედ ორი უფლებამოსილების სრული ვადა, მათ შორის, როგორც მოვალეობის შემსრულებელს.

2. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. საარჩევნო დებულებას ამტკიცებს უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო.

შეტანილი ცვლილებები:

წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 07 ოქტომბრის N41 დადგენილება, ოქმი N8.

წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 20 სექტემბრის N1170059 დადგენილება, ოქმი N8.